# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება N72

ქ. დუშეთი

20 მარტი 2019 წელი

ერთი მხრივ, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის, ზურაბ სეხნიაშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მისამართი: დუშეთი, რუსთაველის ქ.N 27
საიდენტიფიკაციო კოდი: № 229324451
ტელეფონის ნომერი:
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: GE24NB3301002001165022

და მეორე მხრივ, შპს „კოხტის ძირი , წარმოდგენილი ბექან ნაკაიძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი),
მისამართი:ქ. თბილისი გურამიშვილის 12ა
საიდენტიფიკაციო კოდი: №400002297
ტელეფონის ნომერი: 599004140
საბანკო რეკვიზიტები:სს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი:BAGAGE22
ანგარიშის ნომერი:G E 67 BG0000000955727800

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები",

(საფუძვლები დამოკიდებულია ტენდერის სახეზე) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 16[1] მუხლის პირველი პუნქტის, „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 4 ივნისის №12 ბრძანებით დამტკიცებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (NAT-190002730) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

## მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს დუშეთში, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება სამუშაოები (შემდგომში - სამუშაო).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 45200000 მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები

## მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 117 500 (ას ჩვიდმეტი ათას ხუთასი) ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

## მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა

1. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის ვადაში. (2019 წლის 20 მაისის ჩათვლით).

2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმით წარდგენილი, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

**მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი**

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, თვეში ერთხელ, შუალედურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3. ანგარიშსწორება განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ხარისხზე, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობაზე, მოცულობასა და ღირებულებებზე დაყრდნობით, შპს „მშენ-ექსპერტის" (შემდგომში - ზედამხედველი) მიერ გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე, რაც დადასტურებული უნდა იყოს ზედამხედველის მიერ ფორმა №2-ზე ხელმოწერით.

**მუხლი 5. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები**

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები (განახლებული ინფორმაცია საგადასახადო გირავნობისა ან/და ყადაღის თაობაზე), რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკის ან სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.

4. ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.

5. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.

6. მიმწოდებელი ვალდებულია ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

7. ავანსის გაქვითვა მოხდება პროპორციულად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების იმ პროცენტის ოდენობით, რა პროცენტული ოდენობითაც გაიცა ავანსი.

8. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 6. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა

1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 (ორი) წელს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

3. სამუშაოს ხარისხის დაცვის მიზნით, შემსყიდველის მიერ ყოველი შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული იქნება შესრულებული სამუშაოების ღირებულების 5%, რომლის დაბრუნება მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულად დასრულებისა და შესაბამისი საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

მუხლი 7. სამუშაოს შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაო მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი (არსებობის შემთხვევაში) ნორმებისა და წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

მუხლი 8. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების წარდგენა განახორციელოს ეტაპობრივად, თვეში ერთხელ.

2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

3. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი, მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას ახორციელებს ზედამხედველი, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

მუხლი 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს სამუშაოს დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში;

ბ) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

გ) სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

დ) სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

ე) შემსყიდველთან შეათანხმოს სამუშაოების განხორციელებისას გამოსაყენებელი მასალ(ებ)ის იერსახე და ხარისხი;

ვ) სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე გადაამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე, საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;

ზ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის მიმწოდებელს არ აქვს მოპოვებული

საჭირო დოკუმენტაცია ან ნებართვა, მიმწოდებელი ვალდებულია, სათანადო დოკუმენტაციის ან ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად;

თ) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად და ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული წესით გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;

ი) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

კ) დაიცვას შემსყიდველის მიერ მისთვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნები და პირობები (მათი არსებობის შემთხვევაში).

2. შემსყიდველი ვალდებულია, შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი შესრულებული სამუშაო.

მუხლი 10. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს შემსყიდველი ან/და ზედამხედველი.

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

5. სამუშაოს განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება.

6. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი ან სპეციალური კომისია კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

7. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების კონტროლის (ინსპექტირება) მიზნით შერჩეული სხვა პირ(ებ)ის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზ(ებ)ი. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს ამ პუნქტში აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება

ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, თავისი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)ი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტ(ებ)ით შესრულებული სამუშაოების ღირებულება.

8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულ სამუშაოთა შემსყიდველისთვის წარდგენილი მოცულობები შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მიმწოდებელს აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 11. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

## მუხლი 12. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 5% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება, გარდა ამ მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა.

2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა

დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

6. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

7. შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნებითა და პირობებით (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

8. მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილ ზიანზე.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;

ვ) მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს;

ზ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

თ) ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 14. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 15. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი და მიმწოდებლის პერსონალი

1. დაუშვებელია ქვეკონტრაქტორ(ებ)ს შესასრულებლად გადაეცეს შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობის 40%-ზე მეტი;

2. ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ნაწილის ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე შემსყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულების ფარგლებში, ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის დადების თაობაზე და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა აღნიშნულზე. ამ მიზნით, შემსყიდველს წარედგინება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება ღირებულების მითითებით და გასაფორმებელი ქვეკონტრაქტ(ებ)ის ასლი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი წარუდგინოს შემსყიდველს, აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 16. შეტყობინება

1.ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში -dusheti27 @) gmail.com ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

1.შემსყიდველი უფლებამოსილია ასევე უფლებამოსილია ოფიციალური შეტყობინება ატვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში.ამგვარი შეტყობინება ჩაბარებულად ჩაითვლება ატვირთვის მომენტიდან.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 17. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი - შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7. მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ტექნიკური დავალება, საპროექტო დოკუმენტაციის განმარტებითი ბარათი, სპეციფიკაციები, ნახაზები, პროექტი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2019 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

მხარეთა ხელმოწერები:

შპს „კოხტის მირი"

შემსყიდველი: დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი: ზურაბ სეხნიაშვილი

დირექტორი ზეკან ნაკაიძე

იურისტი:

Dusheti Municipality

Digitally signed by Dusheti Municipality
Date: 2019.03.20 17:08:19 +04'00'

დუშეთის მუნიციპალიტეტი.

ქ. დუშეთი, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება

**სახარჯთაღრიცხვო ღირებულების**
**მშენებლობის ღირებულების**
**ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიში**

დუშეთის მუნიციპალიტეტი.

ქ. დუშეთი, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება

| №№ | თავების, ობიექტების, სამუშაოების და დანახარჯების დასახელება | სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ათ.ლარი | | | | საერთო სახარჯთაღრიცხვო ღირებულება, ათ.ლარი |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | სამშენებლო სამუშაოების | სამონტაჟო სამუშაოების | მოწყობილობების, ინვენტარის | სხვა დანახარჯების | |
| 1 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| | თავი I | | | | | |
| | მშენებლობის ტერიტორიის მომზადება | | | | | |
| 1 | მოსამზადებელი სამუშაოები | | | | | |
| 2 | დაზიანებული საგზაო სამოსის და ტროტუარების მოხსნა | | | | | |
| | სულ თავი I | | | | | 8925,90 |
| | | | | | | |
| | თავი III | | | | | |
| | საგზაო სამოსი | | | | | 76370,71 |
| 3 | ა/ბეტონის საფარის მოწყობა | | | | | |
| | სულ თავი III | | | | | |

| 1 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | |
| | თავი VI | | | | | |
| | გზის კუთვნილება და კეთილმოწყობა | | | | | |
| 4 | ბორდიურების მოწყობა და სათვალთვალო ჭების რეაბილიტაცია | | | | | 10229,88 |
| 5 | სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნის მოწყობა | | | | | 433,06 |
| 6 | საგზაო ნიშნების მოწყობა | | | | | 716,44 |
| | სულ თავი VI | | | | | |
| | | | | | | |
| | სულ თავი I–VI | | | | | |
| | | | | | | 96675,99 |
| 7 | გაუთვალისწინებელი ხარჯები | 0,03 | | | | 2900,28 |
| | სულ | | | | | 99576,27 |
| 8 | დღგ 18% | 0,18 | | | | 17923,73 |
| | სულ მშენებლობის ღირებულების ნაკრები სახარჯთაღრიცხვო ანგარიშით | | | | | 117500,00 |

შპს „კობტის ძირი 2010"

დირექტორი: ბექან ნაკაიძე

დუშეთის მუნიციპალიტეტი. ქ. დუშეთი, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა № 1
მოსამზადებელი სამუშაოები
სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 8,93 ათ.ლარი

| № | სამუშაოების, რესურსების დასახელება | ნორმატიული რესურ | | ხელფასი | | მასალა | | სამშენებლო მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზ. | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
| | *I. სავ ზოთ ხამოი* | | | | | | | | | |
| 1 | არსებული დაზიანებული ა/ბეტონის მოხსნა მექანიზმებით სისქით 10 სმ, ფართის 90% | მ³ | 111,60 | | | | | | | |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 178,56 | 4,60 | 821,38 | | 0 | | 0 | 821,38 |
| | ავტოგრეიდერი საშუალო ტიპის 79კვტ | მანქ/სთ | 2,13 | | 0,00 | | 0 | 50,00 | 106,578 | 106,58 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 2,13 | 4,60 | 9,81 | | 0 | | 0 | 9,81 |
| | ა/ბეტონის ნამტვრევების დატვირთვა ა/თვითმცლელებზე და ტრანსპორტირება 15 კმ მანძილზე ნაყარში | ტ | 200,88 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 1004,4 | 1004,40 |
| 2 | არსებული დაზიანებული ა/ბეტონის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით სისქით 10 სმ, ფართის 10% | მ³ | 12,40 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 19,84 | 4,60 | 91,26 | | 0 | | 0 | 91,26 |
| | სანგრევი ჩაქუჩები | მანქ/სთ | 9,61 | | 0,00 | | 0 | 15,00 | 144,15 | 144,15 |

| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 9,61 | 4,60 | 44,21 | | 0 | | 0 | 44,21 |
| | კომპრესორი | მანქ/სთ | 0,00 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,00 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ა/ბეტონის ნამტვრევების დატვირთვა ა/თვითმცლელებზე და ტრანსპორტირება 15 კმ მანძილზე ნაყარში | ტ | 22,32 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 111,6 | 111,60 |
| 3 | ნაყარში მუშაობა | $მ^3$ | 124,00 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ბულდოზერი 79 კვტ | მანქ/სთ | 1,29 | | 0,00 | | 0 | 50,00 | 64,48 | 64,48 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 1,29 | 4,60 | 5,93 | | 0 | | 0 | 5,93 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0,030 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 0,1488 | 0,15 |
| 4 | III კატეგორიის გრუნტის დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე სისქით 20 სმ, ფართის 90% | $მ^3$ | 225,00 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 4,50 | 4,60 | 20,70 | | 0 | | 0 | 20,70 |
| | ექსკავატორი | მანქ/სთ | 10,08 | | 0,00 | | 0 | 40,00 | 403,2 | 403,20 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 10,08 | 4,60 | 46,37 | | 0 | | 0 | 46,37 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0,47 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 2,3625 | 2,36 |
| | ღორღი ფრაქცია 20-40მმ | $მ^3$ | 0,02 | | 0,00 | 12,00 | 0,243 | | 0 | 0,24 |
| | ტრანსპორტირება 15 კმ მანძილზე ნაყარში | ტ | 438,75 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 2193,75 | 2193,75 |

| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | III კატეგორიის გრუნტის დამუშავება ხელით და დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე სისქით 20 სმ, ფართის 10% | მ$^3$ | 25,00 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 73,25 | 4,60 | 336,95 | | 0 | | 0 | 336,95 |
| | ტრანსპორტირება 15 კმ მანძილზე ნაყარში | ტ | 48,75 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 243,75 | 243,75 |
| 6 | ნაყარში მუშაობა | მ$^3$ | 250,00 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 0,81 | 4,60 | 3,71 | | 0 | | 0 | 3,71 |
| | ბულდოზერი 79 კვტ | მანქ/სთ | 0,91 | | 0,00 | | 0 | 50,00 | 45,25 | 45,25 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,91 | 4,60 | 4,16 | | 0 | | 0 | 4,16 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0,05 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 0,225 | 0,23 |
| 7 | არსებული დაზიანებული ბეტონის ბორდიურების დემონტაჟი | გ.მ. | 40,00 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 31,40 | 4,60 | 144,44 | | 0 | | 0 | 144,44 |
| | დემონტირებული ბორდიურების დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე და გატანა 15 კმ მანძილზე ნაყარში | ტ | 4,80 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 24 | 24,00 |
| 8 | ნაყარში მუშაობა | მ$^3$ | 1,80 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ბულდოზერი 79 კვტ | მანქ/სთ | 0,02 | | 0,00 | | 0 | 50,00 | 0,936 | 0,94 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,02 | 4,60 | 0,09 | | 0 | | 0 | 0,09 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0,000 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 0,00216 | 0,00 |

| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | *II. ტროტუარები* | | | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| 9 | არსებული დაზიანებული ა/ბეტონის მოხსნა პნევმატური ჩაქუჩებით სისქით 3 სმ | მ$^3$ | 24,30 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 38,88 | 4,60 | 178,85 | | 0 | | 0 | 178,85 |
| | სანგრევი ჩაქუჩები | მანქ/სთ | 18,83 | | 0,00 | | 0 | 15,00 | 282,4875 | 282,49 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 18,83 | 4,60 | 86,63 | | 0 | | 0 | 86,63 |
| | კომპრესორი | მანქ/სთ | 9,42 | | 0,00 | | 0 | 15,00 | 141,2438 | 141,24 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 9,42 | 4,60 | 43,31 | | 0 | | 0 | 43,31 |
| | ა/ბეტონის ნამტვრევების დატვირთვა ა/თვითმცლელებზე და ტრანსპორტირება 15 კმ მანძილზე ნაყარში | ტ | 43,74 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 218,7 | 218,70 |
| 10 | ნაყარში მუშაობა | მ$^3$ | 24,30 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 0,09 | 4,60 | 0,39 | | 0 | | 0 | 0,39 |
| | ბულდოზერი 79 კვტ | მანქ/სთ | 0,10 | | 0,00 | | 0 | 50,00 | 4,7871 | 4,79 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,10 | 4,60 | 0,44 | | 0 | | 0 | 0,44 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0,00 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 0,023085 | 0,02 |
| 11 | III კატეგორიის გრუნტის დამუშავება მექანიზმებით და დატვირთვა ავტოთვითმცლელებზე სისქით 10 სმ | მ$^3$ | 80,70 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |

| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 1,61 | 4,60 | 7,42 | | 0 | | 0 | 7,42 |
| | ექსკავატორი | მანქ/სთ | 3,62 | | 0,00 | | 0 | 40,00 | 144,6144 | 144,61 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 3,62 | 4,60 | 16,63 | | 0 | | 0 | 16,63 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0,17 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 0,84735 | 0,85 |
| | ღორღი ფრაქცია 20-40მმ | $მ^3$ | 0,01 | | 0,00 | 12,00 | 0,087156 | | 0 | 0,09 |
| | ტრანსპორტირება 15 კმ მანძილზე ნაყარში | ტ | 157,37 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 786,825 | 786,83 |
| 12 | ნაყარში მუშაობა | $მ^3$ | 80,70 | | 0,00 | | 0 | | 0 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 0,26 | 3,12 | 0,81 | | 0 | | 0 | 0,81 |
| | ბულდოზერი 79 კვტ | მანქ/სთ | 0,29 | | 0,00 | | 0 | 25,00 | 7,30335 | 7,30 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,29 | 4,60 | 1,34 | | 0 | | 0 | 1,34 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 0,01 | | 0,00 | | 0 | 5,00 | 0,07263 | 0,07 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 7796,91 |
| | ზედნადები ხარჯები | ლარი | 0,080 | | | | | | | 623,75 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 8420,66 |
| | გეგმიური მოგება | ლარი | 0,060 | | | | | | | 505,24 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 8925,90 |

დუშეთის მუნიციპალიტეტი. ქ. დუშეთი, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა № 2

ა/ბეტონის საფარის მოწყობა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 76,37 ათ.ლარი

| № | სამუშაოების, რესურსების დასახელება | ნორმატიული რესურსი | | ხელფასი | | მასალა | | სამშენებლო მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზ. | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
| | *I. ა/ბეტონის საფარის მოწყობა სავალ ნაწილზე* | | | | | | | | | |
| 1 | ნაწიბურების ჩაჭრა ხერხით (ახალი და ძველი ა/ბეტონის გადაბმის ადგილზე) | გ.მ. | 24,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 2,47 | 4,60 | 11,37 | | 0,00 | | 0,00 | 11,37 |
| | ხერხი დანადგარი | მანქ/სთ | 0,91 | | 0,00 | | 0,00 | 20,00 | 18,19 | 18,19 |
| 2 | თხევადი ბიტუმის მოსხმა ნაწიბურებზე 0,35 ლ/მ²-ზე | ტ | 0,0084 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ავტოგუდრონატორი 3500 ლ | მანქ/სთ | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ბიტუმის ემულსია | ტ | 0,01 | 1150,00 | 9,95 | | 0,00 | | 0,00 | 9,95 |
| 3 | საფუძვლის ქვედა ფენის მოწყობა ქვიშა-ხრეშოვანი ნარევისაგან, სისქით 15 სმ | მ³ | 209,84 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 31,48 | 4,60 | 144,79 | | 0,00 | | 0,00 | 144,79 |
| | ავტოგრეიდერი საშუალო ტიპის 79კვტ | მანქ/სთ | 4,53 | | 0,00 | | 0,00 | 50,00 | 226,62 | 226,62 |

| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 4,53 | 4,60 | 20,85 | | 0,00 | | 0,00 | 20,85 |
| | სატკეპნი საგზაო თვითმავალი პნევმოსვლაზე 18 ტ | მანქ/სთ | 5,73 | | 0,00 | | 0,00 | 30,00 | 171,86 | 171,86 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 5,73 | 4,60 | 26,35 | | 0,00 | | 0,00 | 26,35 |
| | მოსარწყავ-მოსარეცხი მანქანა 6000ლ | მანქ/სთ | 2,04 | | 0,00 | | 0,00 | 20,00 | 40,71 | 40,71 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 2,04 | 4,60 | 9,36 | | 0,00 | | 0,00 | 9,36 |
| | ქვიშა-ხრეშოვანი ნარევი | $მ^3$ | 256,00 | | 0,00 | 15,00 | 3840,00 | | 0,00 | 3840,00 |
| | წყალი | $მ^3$ | 14,69 | 0,02 | 0,29 | | 0,00 | | 0,00 | 0,29 |
| 4 | საფუძვლის ზედა ფენის მოწყობა ფრაქციული ღორღით (0-40 მმ), სისქით12 სმ | $მ^2$ | 1318,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 43,49 | 4,60 | 200,07 | | 0,00 | | 0,00 | 200,07 |
| | ავტოგრეიდერი საშუალო ტიპის 79კვტ | მანქ/სთ | 0,55 | | 0,00 | | 0,00 | 50,00 | 27,68 | 27,68 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,55 | 4,60 | 2,55 | | 0,00 | | 0,00 | 2,55 |
| | ბულდოზერი 79კვტ | მანქ/სთ | 3,40 | | 0,00 | | 0,00 | 50,00 | 170,02 | 170,02 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 3,40 | 4,60 | 15,64 | | 0,00 | | 0,00 | 15,64 |
| | სატკეპნი საგზაო თვითმავალი გლუვი 5ტ | მანქ/სთ | 14,76 | | 0,00 | | 0,00 | 20,00 | 295,23 | 295,23 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 14,76 | 4,60 | 67,90 | | 0,00 | | 0,00 | 67,90 |
| | იგივე. 10ტ | მანქ/სთ | 32,69 | | 0,00 | | 0,00 | 25,00 | 817,16 | 817,16 |

| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 32,69 | 4,60 | 150,36 | | 0,00 | | 0,00 | 150,36 |
| | მოსარწყავ-მოსარეცხი მანქანა 6000ლ | მანქ/სთ | 5,46 | | 0,00 | | 0,00 | 2,00 | 10,91 | 10,91 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 5,46 | 0,20 | 1,09 | | 0,00 | | 0,00 | 1,09 |
| | ქვის წვრილმანის დაკიდული მანაწილებელი | მანქ/სთ | 0,70 | | 0,00 | | 0,00 | 10,00 | 6,99 | 6,99 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,70 | 0,20 | 0,14 | | 0,00 | | 0,00 | 0,14 |
| | ღორღი 40 მმ | მ$^3$ | 199,28 | | 0,00 | 20,00 | 3985,63 | | 0,00 | 3985,63 |
| | წყალი | მ$^3$ | 39,54 | 0,20 | 7,91 | | 0,00 | | 0,00 | 7,91 |
| 5 | ბითუმის ემულსიის მოსხმა საფუძვლის ზედა ფენაზე 0,7 ლ/მ$^2$-ზე | ტ | 0,87 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ავტოგუდრონატორი 3500 ლ | მანქ/სთ | 0,26 | | 0,00 | | 0,00 | 100,00 | 26,10 | 26,10 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,26 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ბიტუმის ემულსია | ტ | 0,90 | | 0,00 | 1150,00 | 1030,52 | | 0,00 | 1030,52 |
| 6 | საფარის ქვედა ფენის მოწყობა მსხვილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონის, სისქით 6 სმ | მ$^2$ | 1240,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 46,85 | 4,60 | 215,50 | | 0,00 | | 0,00 | 215,50 |
| | ასფალტობეტონის დამგები | მანქ/სთ | 3,72 | | 0,00 | | 0,00 | 85,00 | 316,20 | 316,20 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 3,72 | 4,60 | 17,11 | | 0,00 | | 0,00 | 17,11 |
| | სატკეპნი საგზაო თვითმავალი გლუვი 5ტ | მანქ/სთ | 4,59 | | 0,00 | | 0,00 | 25,00 | 114,70 | 114,70 |

| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 4,59 | 4,60 | 21,10 | | 0,00 | | 0,00 | 21,10 |
| | იგივე. 10ტ | მანქ/სთ | 13,76 | | 0,00 | | 0,00 | 30,00 | 412,92 | 412,92 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 13,76 | 4,60 | 63,31 | | 0,00 | | 0,00 | 63,31 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 2,85 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 14,26 | 14,26 |
| | მსხვილმარცვლოვანი ასფალტობეტონი | ტ | 172,98 | | 0,00 | 130,00 | 22487,40 | | 0,00 | 22487,40 |
| | სხვა მასალები | ლარი | 18,97 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 94,86 | 94,86 |
| 7 | საფარის ქვედა ფენის დამუშავება 60% ბითუმის ემულსიის მთელ ფართზე მოხმით 0,35 ლ/მ²-ზე | ტ | 0,044 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ავტოგუდრონატორი 3500 ლ | მანქ/სთ | 0,01 | | 0,00 | | 0,00 | 100,00 | 1,32 | 1,32 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,01 | 4,60 | 0,06 | | 0,00 | | 0,00 | 0,06 |
| | ბიტუმის ემულსია | ტ | 0,05 | | 0,00 | 1150,00 | 52,12 | | 0,00 | 52,12 |
| 8 | საფარის ზედა ფენის მოწყობა წვრილმარცვლოვანი ცხელი ა/ბეტონის, სისქით 4 სმ | მ² | 1240,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 46,50 | 4,60 | 213,90 | | 0,00 | | 0,00 | 213,90 |
| | ასფალტობეტონის დამგები | მანქ/სთ | 3,74 | | 0,00 | | 0,00 | 85,00 | 318,31 | 318,31 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 3,74 | 4,60 | 17,23 | | 0,00 | | 0,00 | 17,23 |
| | სატკეპნი საგზაო თვითმავალი გლუვი 5ტ | მანქ/სთ | 4,59 | | 0,00 | | 0,00 | 20,00 | 91,76 | 91,76 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 4,59 | 4,60 | 21,10 | | 0,00 | | 0,00 | 21,10 |
| | იგივე. 10ტ | მანქ/სთ | 13,76 | | 0,00 | | 0,00 | 25,00 | 344,10 | 344,10 |

| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 13,76 | 4,60 | 63,31 | | 0,00 | | 0,00 | 63,31 |
| | სხვა მანქანები | ლარი | 2,85 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 14,26 | 14,26 |
| | წვრილმარცვლოვანი ასფალტობეტონი | ტ | 120,78 | | 0,00 | 135,00 | 16304,76 | | 0,00 | 16304,76 |
| | სხვა მასალები | ლარი | 17,98 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 89,90 | 89,90 |
| | *II. ტროტუარების მოწყობა* | | | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| 9 | ტროტუარის საფუძვლის მოწყობა ფრაქციული (0-40 მმ) ღორღით, სისქით 10 სმ | $მ^2$ | 1016,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 248,51 | 4,60 | 1143,16 | | 0,00 | | 0,00 | 1143,16 |
| | სატკეპნი საგზაო თვითმავალი გლუვი 5ტ | მანქ/სთ | 14,83 | | 0,00 | | 0,00 | 20,00 | 296,67 | 296,67 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 14,83 | 4,60 | 68,23 | | 0,00 | | 0,00 | 68,23 |
| | მოსარწყავ-მოსარეცხი მანქანა 6000ლ | მანქ/სთ | 5,59 | | 0,00 | | 0,00 | 2,00 | 11,18 | 11,18 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 5,59 | 4,60 | 25,70 | | 0,00 | | 0,00 | 25,70 |
| | ღორღი (0-40) მმ ფრაქციის | $მ^3$ | 149,35 | | 0,00 | 18,00 | 2688,34 | | 0,00 | 2688,34 |
| | წყალი | $მ^3$ | 20,32 | 0,20 | 4,06 | | 0,00 | | 0,00 | 4,06 |
| 10 | ბითუმის ემულსიის მოსხმა საფუძვლის ზედა ფენაზე 0,7 ლ/$მ^2$-ზე | ტ | 0,60 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ავტოგუდრონატორი 3500 ლ | მანქ/სთ | 0,18 | | 0,00 | | 0,00 | 100,00 | 18,00 | 18,00 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,18 | 4,60 | 0,83 | | 0,00 | | 0,00 | 0,83 |
| | ბიტუმის ემულსია | ტ | 0,62 | 1150,00 | 710,70 | | 0,00 | | 0,00 | 710,70 |

16000

| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | ტროტუარის საფარის მოწყობა ქვიშოვანი ასფალტობეტონით, სისქით 3 სმ | მ$^2$ | 807,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 75,62 | 4,60 | 347,83 | | 0,00 | | 0,00 | 347,83 |
| | სატკეპნი საგზაო თვითმავალი გლუვი 5ტ | მანქ/სთ | 5,97 | | 0,00 | | 0,00 | 20,00 | 119,44 | 119,44 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 5,97 | 4,60 | 27,47 | | 0,00 | | 0,00 | 27,47 |
| | ტროტუარის ქვიშოვანი ასფალტბეტონი | ტ | 57,62 | | 0,00 | 140,00 | 8066,77 | | 0,00 | 8066,77 |
| | ბიტუმი თხევადი | ტ | 0,48 | | 0,00 | 1150,00 | 556,83 | | 0,00 | 556,83 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 66710,96 |
| | ზედნადები ხარჯები | ლარი | 0,080 | | | | | | | 5336,88 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 72047,84 |
| | გეგმიური მოგება | ლარი | 0,060 | | | | | | | 4322,87 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 76370,71 |

დუშეთის მუნიციპალიტეტი. ქ. დუშეთი, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა № 3

ბორდიურების მოწყობა და სათვალთვალო ჭების რეაბილიტაცია

10,23 ათ.ლარი

| № | სამუშაოების, რესურსების დასახელება | ტიული | ხელფასი | | | მასალა | | სამშენებლო მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზ. | რაოდენობა ფასი | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1' | 3' | 4' | 7' | | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
| | *I.ბორდიურების მოწყობა* | | | | | | | | | |
| 1 | ბეტონის ახალი ბორდიურების (15X30) მოწყობა ბეტონის საფუძველზე (საფუძვლის გამოყენება არანაკლებ B-10 ბეტონი 0,035 $м^3$/გ.მ.) | გ.მ. | 314,00 | | | | | | | |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 232,36 | 6,20 | 1440,63 | | 0,00 | | 0,00 | 1440,63 |
| | მანქანები | ლარი | 2,23 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 11,15 | 11,15 |
| | ბეტონის ბორდიური | გ.მ. | 314,00 | | 0,00 | 10,00 | 3140,00 | | 0,00 | 3140,00 |
| | ბეტონი B15 | $м^3$ | 18,53 | | 0,00 | 130,00 | 2408,38 | | 0,00 | 2408,38 |
| | ცემენტის ხსნარი M-100 | $м^3$ | 0,19 | | 0,00 | 85,00 | 16,01 | | 0,00 | 16,01 |
| | სხვა მასალები | ლარი | 30,14 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 150,72 | 150,72 |
| 2 | ბეტონის ახალი ბორდიურების (10X20) მოწყობა ბეტონის საფუძველზე (საფუძვლის გამოყენება არანაკლებ B-10 ბეტონი 0,01 $м^3$/გ.მ.) | გ.მ. | 65,00 | | | | | | | |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 48,10 | 6,20 | 298,22 | | 0,00 | | 0,00 | 298,22 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | ფასი | ფასი | | ფასი | | ფასი | | |
| | მანქანები | ლარი | 0,46 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 2,31 | 2,31 |
| | ბეტონის ბორდიური | გ.მ. | 65,00 | | 0,00 | 10,00 | 650,00 | | 0,00 | 650,00 |
| | ბეტონი B15 | მ3 | 3,84 | | 0,00 | 150,00 | 575,25 | | 0,00 | 575,25 |
| | ცემენტის ხსნარი M-100 | მ3 | 0,04 | | 0,00 | 85,00 | 3,32 | | 0,00 | 3,32 |
| | სხვა მასალები | ლარი | 6,24 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 31,20 | 31,20 |
| | *II. ჭების რეაბილიტაცია* | | | | | | | | | |
| 3 | არსებული საკომუნიკაციო ჭების მოყვანა გზის ნიშნულზე ბეტონის საფუძველზე, სპეციალური ბეტონით რომლის შემკვრივების დრო იქნება არაუმეტეს 3 საათი B22,5 F200 W6 (4 ცალი) | მ3 | 1,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 2,81 | 16,00 | 44,96 | | 0,00 | | 0,00 | 44,96 |
| | მანქანები | ლარი | 0,33 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 1,65 | 1,65 |
| | ბეტონი | მ3 | 1,02 | | 0,00 | 150,00 | 153,00 | | 0,00 | 153,00 |
| | ფარი ფიცრის, ყალიბის | მ2 | 0,72 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ძელი | მ3 | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | ფიცარი ჩამოგანული III ხარისხის, 40-60 მმ | მ3 | 0,02 | 550,00 | 8,36 | | 0,00 | | 0,00 | 8,36 |
| | ჭანჭიკი | ტ | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | | 0,00 | 0,00 |
| | სხვა მასალები | ლარი | 0,16 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 0,80 | 0,80 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 8935,96 |
| | ზედნადები ხარჯები | ლარი | 0,08 | | | | | | | 714,88 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 9650,83 |
| | გეგმიური მოგება | ლარი | 0,06 | | | | | | | 579,05 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 10229,88 |

დუშეთის მუნიციპალიტეტი. ქ. დუშეთი, გოგიბაშვილის ქუჩის მოასფალტება

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა № 4

სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნის მოწყობა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,43 ათ.ლარი

| № | სამუშაოების, რესურსების დასახელება | ნორმატიული რესურსი | | ხელფასი | | მასალა | | სამშენებლო მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზ. | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
| 1 | სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნა ერთკომპონენტიანი (თეთრი) საგზაო ნიშანსადები საღებავით დამზადებული მეთილმეთაკრილატის საფუძველზე, გაუმჯობესებული ღამის ხილვადობის შუქდამაბრუნებელი მინის ბურთულაკებით ზომით 100-600 მკმ-დე | მ | 155,00 | | | | | | | |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 0,50 | 4,60 | 2,32 | | 0,00 | | 0,00 | 2,32 |
| | ნიშანსადები მანქანები | მანქ/სთ | 0,14 | | 0,00 | | 0,00 | 350,00 | 47,74 | 47,74 |
| | მანქანები | ლარი | 0,55 | | 0,00 | | 0,00 | 5,00 | 2,73 | 2,73 |
| | საღებავი | ქგ | 6,51 | 50,00 | 325,50 | | 0,00 | | 0,00 | 325,50 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 378,29 |
| | ზედნადები ხარჯები | ლარი | 0,080 | | | | | | | 30,26 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 408,55 |
| | გეგმიური მოგება | ლარი | 0,060 | | | | | | | 24,51 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 433,06 |

დუშეთის მუნიციპალიტეტი. ქ. დუშეთი, გოგებაშვილის ქუჩის მოასფალტება

ლოკალური ხარჯთაღრიცხვა № 5

საგზაო ნიშნების მოწყობა

სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 0,72 ათ.ლარი

| № | სამუშაოების, რესურსების დასახელება | ნორმატიული რესურ | | ხელფასი | | მასალა | | სამშენებლო მექანიზმები | | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | განზ. | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | ერთ. ფასი | სულ | |
| 1' | 3' | 4' | 6' | 7' | 8' | 9' | 10' | 11' | 12' | 13' |
| 1 | საგზაო ნიშნების დაყენება ლითონის დგარებზე სიგრძით 3,50 მ დაბეტონებით, მიწის სამუშაოებისა და დგარების შეღებვის გათვალისწინებით | ც | 2,00 | | | | | | | |
| | ნორმატიული შრომატევადობა | კაც/სთ | 6,46 | 4,60 | 29,72 | | 0,00 | | 0,00 | 29,72 |
| | ავტოამწე საბურღი მოწყობილობით | მანქ/სთ | 0,30 | | 0,00 | | 0,00 | 50,00 | 15,00 | 15,00 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,30 | 4,60 | 1,38 | | 0,00 | | 0,00 | 1,38 |
| | ამწე საავტომობილო სვლაზე 3 ტ | მანქ/სთ | 0,57 | | 0,00 | | 0,00 | 50,00 | 28,60 | 28,60 |
| | მექანიზმებზე მომსახურე პერსონალის ხელფასი | კაც/სთ | 0,57 | 4,60 | 2,63 | | 0,00 | | 0,00 | 2,63 |
| | ბეტონი B20 F100 W6 | $მ^3$ | 0,68 | | 0,00 | 150,00 | 102,00 | | 0,00 | 102,00 |
| | ლითონის დგარი სიგრძით 3,50 მ Ø76 მმ | ც | 2,00 | | 0,00 | 120,00 | 240,00 | | 0,00 | 240,00 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | პროფილების სამკუთხა 700X700X700 მმ | ც | 2,00 | | 0,00<br>0,00 | 100,00 | 0,00<br>200,00 | | 0,00<br>0,00 | 0,00<br>200,00 |
| | სხვა მასალა | ლარი | 1,30 | | 0,00 | 5,00 | 6,49 | | 0,00 | 6,49 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 625,82 |
| | ზედნადები ხარჯები | ლარი | 0,080 | | | | | | | 50,07 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 675,88 |
| | გეგმიური მოგება | ლარი | 0,060 | | | | | | | 40,55 |
| | სულ | ლარი | | | | | | | | 716,44 |

# მშენებლობის კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკი

| № | სამუშაოს დასახელება | სამუშაოების განახორციელებლად საჭირო დრო | კალენდარული გრაფიკი 60 კალენდარული დღე | | | | | | | | სამუშაოს ჯამური ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | I კვირა | II კვირა | III კვირა | IV კვირა | I კვირა | II კვირა | III კვირა | IV კვირა | |
| 1 | მოსამზადებელი სამუშაოები | 21 დღე | 3510,85 | 3510,85 | 3510,85 | | | | | | 10532,6 |
| 2 | ასფალტ-ბეტონის საფარის მოწყობა | 49 დღე | | 12873,92 | 12873,92 | 12873,92 | 12873,92 | 12873,92 | 12873,92 | 12873,92 | 90117,44 |
| 3 | ბორდიურების მოწყობა და სათვალთვალო ჭების რეაბილიტაცია | 21 დღე | 4023,75 | 4023,75 | 4023,75 | | | | | | 12071,3 |
| 4 | სავალი ნაწილის ჰორიზონტალური მონიშვნის მოწყობა | 2 დღე | | | | | | | | 511,01 | 511,01 |
| 5 | საგზაო ნიშნების მოწყობა | 2 დღე | | | | | | | | 845,39 | 845,39 |
| 6 | გაუთვალისწინებელი სამუშაოები | 60 დღე | 427,79 | 427,79 | 427,79 | 427,79 | 427,79 | 427,79 | 427,79 | 427,79 | 3422,32 |
| | ჯამი | | 7962 | 20836 | 20836 | 13302 | 13302 | 13302 | 13302 | 14658 | 117500 |

შპს „კოხსტის ძირი 2010"   დირექტორი: ზვიად ნაკაიძე